ზნეობრივი შეფასების ტიპური შეცდომა -

Typical error of moral evaluation - Типичная ошибка моральной оценки

აზროვნების ილუზია, რომელიც **ზნეობრივ-სოციალური შეფასების** ვითარებაში ხდება. მაგ. [შ. ნადირაშვილი]: ცდისპირმა უნდა წაიკითხოს ძველებური ენით დაწერილი, ვითომ ისტორიული ტექსტი და –5-დან +5-მდე სკალაზე შეაფასოს, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ტექსტში აღწერილი საქციელები – სახელმწიფოს სიძლიერის გულისთვის სისასტიკე და დაუნდობლობა და სხვა. ცდისპირთა პირველი ჯგუფისთვის მიწოდებულ ტექსტს ავტორად უწერია „დავით აღმაშენებელი“, მეორისთვის – „შაჰ აბასი“. თვით ტექსტები კი ზუსტად ერთიდაიგივეა. პირველი ჯგუფის საშუალო შეფასებაა დაახლოებით +4, მეორისა – –4.

ეშტშ-ის, ისევე როგორც ზოგადად აზროვნების ილუზიის, საფუძველია **სააზროვნო განწყობის ასიმილაციური მოქმედება**, ზედმეტად გადავრცელებული, რომელსაც არ მოჰყვება მისი შესასწორებელი არც **კონტრასტული ილუზია** და არც **ობიექტივაცია** – **კონფორმიზმის, სტერეოტიპების** გავლენით [იხ. აგრეთვე **ესთეტიკური შეფასების ტიპური შეცდომა**].